სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/194

30 ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ანდრეას არნდტის პროფესორად მოწვევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილის სამეცნიერო დარგში, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილის მოხსენებითი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ოქტომბრის №01-05-02/30 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოწვეულ იქნას პროფესორად ანდრეას არნდტი. მისი წლიური დატვირთვა განისაზღვროს 500 საათით, ანაზღაურება თვეში 1500 ლარის ოდენობით.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**